

უთშაბათი, 23.05.2013 16:06:18

საინფორმაციო სააგენტო

ძიება... ძიება

- პოლიტიკა
- ექსკლუზივი
- კონფლიქტები
- თავდაცვა
- სამართალი
- ანალიტიკა
- ეკონომიკა
- რეგიონები
- სპორტი
- საზოგადოება
- უცხოეთი
- ინტერვიუ
- ანონსი



ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და კომენტარები გამოქვეყნდა


18:17 - 14.09.2009

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის პროექტთან დაკავშირებით საკუთარი, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკების დამკვირვებელთა ქსელის შენიშვნები და კომენტარები გამოაქვეყნა. "ჩვენი აზრით, ყველაზე მისაღები ალტერნატივაა, არ მოხდეს გზის სავალი ნაწილის გაფართოება და ჩატარდეს გზის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამით აცილებული იქნებოდა სოფლების მცხოვრებთა არანებაყოფლობითი განსახლება; შემცირდებოდა კომპენსაციების საჭიროება, შესაბამისად – მოცულობა და საერთო ჯამში, პროექტის ღირებულება; ამასთანავე, დასახლებულ პუნქტებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე კანონით არის შეზღუდული, ამდენად განიერი გზა პრაქტიკულად არაფერს მოიტანდა მოძრაობის სიჩქარის ხარჯზე მგზავრობის დროის შემცირების კუთხით. სამაგიეროდ, ზემოთ აღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად,

გაიზრდებოდა გზის უსაფრთხოება", - მიაჩნიათ ექსპერტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დრომდე არ არსებობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი. როგორც "პირველს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, ამის გამო მსოფლიო ბანკმა, რომელიც პროექტში მონაწილეობას და ამისთვის გათვალისწინებული 60 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას გეგმავს, შესაძლოა, დაფინანსებაზე უარი თქვას.

[დავით საგანელიძე](#)
[საპარლამენტო](#)
[არჩევნებში არცერთი](#)
[პოლიტიკური პარტიის](#)
[სიით არ იყრის კენჭს](#)

18:51 - 24.02.2012



["არასამთავრობო](#)
[საზოგადოებრივი](#)
[ორგანიზაციების](#)
[კავკასიურ ფორუმზე"](#)
[თურქი მესხების](#)
[საქართველოში](#)
[რეპატრაციის საკითხი](#)
[დააყენეს](#)

16:02 - 24.02.2012

